საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№ 2020 წლის ---- -------- ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) მართვისთვის გასატარებელი ღონისძიებების მიზნით სამედიცინო დაწესებულებების მობილიზების მომსახურების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სოციალური მომსახურების სააგენტომ, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის №674 დადგენილებით დამტკიცებული „2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“ დანართი №20 -ის მე-3 მუხლის ე) პუნქტით განსაზღვრული მომსახურების (სამედიცინო დაწესებულებების მობილიზება) შესყიდვა, განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი გ. გახარია